2022 წლის მონიტორინგის ანგარიში



ქუთაისის უნივერსიტეტი

2023 წელი

შინაარსი

ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ..... 2
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი..... 3
შეფასებების შეჯამება..... 4
სტრატეგიული მიმართულება 1..... 5
უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; 5
სტრატეგიული მიმართულება 2..... 8
უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება; 8
სტრატეგიული მიმართულება 3..... 11
სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება. 11
სტრატეგიული მიმართულება 4..... 16
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. 16
სტრატეგიული მიმართულება 5..... 19
უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა. 19

ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ

ქუთაისის უნივერსიტეტი პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა დასავლეთ საქართველოში, რომელიც 1991 წელს დაარსდა. უნივერსიტეტი აერთიანებს 2 ფაკულტეტსა და 8 აკადემიურ პროგრამას, ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედიცინის და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტები. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ქუთაისის უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში და აზიის ქვეყნებში. არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წევრი, GUNi-ს ინოვაციური ქსელის ინსტიტუციური წევრი, ასევე ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), აკადემიური წევრი.

ქუთაისის უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს 15 ქვეყნის 40-ზე მეტ უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტში დაფუძნებულია ეკონომიკის და მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი “.

ქუთაისის უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში პირველი უნივერსიტეტია, რომელიც არის ერასმუს+ ჟან მონეს აქტივობების გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ინსტიტუციონალურ პროექტებს.

უნივერსიტეტი ასევე გამარჯვებულია ჩინეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონფუცის ინსტიტუტების პროექტში, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის აბიტურიენტებს შეისწავლონ ჩინური ენა და კულტურა.

ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის განათლებას, მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებსა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 2020-2027 წლების გეგმისა და მის შესაბამისად გაწერილი წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშს 2022 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის მიზანია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით მოახდინოს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ხარისხის შეფასება, სამუშაო პროცესში იდენტიფიცირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2020 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის, ორგანიზაციულ დონეზე, და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში ხდება კვარტალური, ამოცანებისა შესრულების პროგრესის მონიტორინგი და საბოლოო წლიური შეფასება. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც ახდენენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ, ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული

ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია მეტწილად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა. ღონისძიებების შესრულების სტატუსის შესაბამისდ შეფასებები ავტომატურად ენიჭება სამოქმედო გეგმის წლიურ ამოცანებს:

- შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30% ან მეტი შესრულებულია;
- ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30-ზე ნაკლები შესრულდა.

შეფასებების შეჯამება

ქუთაისის უნივერსიტეტმა 2022 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევას წარმატებით გაართვა თავი, ამოცანების უმეტესი ნაწილი სრულად, მეტწილად ან ნაწილობრივ არის შესრულებული, ასევე გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც.

ღონისძიებების შესრულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 6 ამოცანა სრულად შესრულდა, 10 მეტწილად, ხოლო 5 ნაწილობრივ, ვერ შესრულდა მხოლოდ 2 ამოცანა.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ ღონისძიებების ვერ შესრულების მიზეზებად გამოიკვეთა დაინტერესებული მხარეების ნაკლები ჩართულობა ან ჩართულობის დაბალი ხარისხი.

ვერ შესრულებული ღონისძიებები მეტწილად უნივერსიტეტის ახალი პროგრამების სააკრედიტაციოთ წარდგენას და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების აქტივობებს ეხებოდა. ეს საკითხები უნივერსიტეტის მიერ მნიშვნელოვან პრიორიტეტებად განისაზღვრა 2022-2023 წლის სანგარიშო პერიოდის დაგეგმვისას.

სტრატეგიული მიმართულება 1.

უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;

უნივერსიტეტის ცნობადობის და მის მიმართ ნდობის ამაღლება

- ✓ 2022 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მოწესრიგდა საიტის შინაარსობრივი მხარე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა საიტის განახლება, ინფორმაციის დამატება და დახვეწა. გაიმართა ასევე საიტის ინგლისურენოვანი ვერსია.
- ✓ სისტემატურად ხორციელდებოდა მედია და ონლაინ სივრცეში უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გაშუქება და აქტივობების წარმოჩენა. ამოცანების ფარგლებში უნივერსიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ფართოდ იყო წარმოდგენილი ონლაინ და ტელემედიაში, როგორც რეგიონალური ასევე სახელმწიფოს საკომუნიკაციის არხების მეშვეობით.

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტისა და აფილირებული კლინიკის "დას. საქართველოს თანამედროვე ტექნოლოგიების" ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა სამედიცინო გადაცემას. 2022 წელს ჩაიწერა 17 გადაცემა

უნივერსიტეტის ცნობადობა სოციალურ ქსელებში 2021 წელთან შედარებით:



უნივერსიტეტისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტმა შეასრულა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ✓ 2022 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა პარტნიორ ორგანიზაციებს შესთავაზა შემდეგი ტრენინგები:
    - მომხარებლების კმაყოფილების კვლევა;
    - ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია;
    - მედია ბიზნესისთვის.

- ✓ უწყვეტი განათლების ფარგლებში მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა პროფესიული გაძლიერება.

- ✓ 2022 წელს მომზადდა ჩინური ენის სასწავლო კურსები, აღიჭურვა კონფუცის კლასის ოთახი და სასწავლო აუდიტორია შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით, მიმდინარეობდა ჩინური ენის სწავლება, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის, კონფუცის სკოლის მომდევნო მიღება გამოცხადდება 2023 წლის მარტის თვეში, 2022 წელს მიმდინარეობდა ქუთაისის მასშტაბით სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლებთან მოლაპარაკებები, რათა მოხდეს სკოლებშიც ჩინური ენის კურსების შეტანა.

- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა/ჩაიწერა:



ადგილობრივი აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

- ✓ სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავდა 3 სხვადასხვა სახის კითხვარი, რომლის მიხედვითაც ჩატარდება იმერეთის და ქუთაისის საჯარო სკოლების მე-11-12 კლასელი მოსწავლეების, მშობლების, რეპეტიტორების კვლევა.
- ✓ 2023 წლის მეორე კვარტალში დაგეგმილია რესურსცენტრის ხელმძღვანელთან შეხვედრა, სადაც მოხდება აღნიშნული კითხვარის გაცნობა და შესაბამისად სკოლებში გადაგზავნა შესავსებად. შედეგების მიღების შემდეგ მეორე კვარტლის ბოლოსვე მომზადდება შესაბამისი კვლევაც.

- ✓ 2022 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურმა განხორციელდა პირველკურსელი სტუდენტების აზრის კვლევა.

ამოცანა 4. საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

- ✓ საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვის მიზნით ახალი ბაზრების იდენტიფიცირება მოხდა იორდანიაში, ასევე, რეკრუტირების ახალი შესაძლებლობები მოიძებნა ინდოეთში, ამ მიზნით სამიზნე ქვეყნებში სამუშაო ვიზიტებიც

განხორციელდა. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები საერთაშორისო აგენტებთან.

- ✓ უნივერსიტეტის რექტორი და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ესწრებოდნენ უცხოეთში გამართულ გამოფენებს, როგორიც იყო ინდოეთში ქალაქ დელიში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენა (დეკემბერი), ასევე ინდოეთის ქალაქ ჩენაის საერთაშორისო გამოფენები (აპრილი და სექტემბერი).

სტრატეგიული მიმართულება 2.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა

- ✓ უნივერსიტეტს საანგარიშო პერიოდში სააკრედიტაციო განაცხადი არ წარუდგენია.

არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა

- ✓ პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებით, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე და

სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებით. პროგრამის ნაწილში ასეთი საჭიროებები არ გამოკვეთილა. ღონისძიება შეფასდა როგორც სრულად შესრულებული, ვინაიდან დადგენილი სამიზნე ნიშნულები მიღწეული იქნა და დადებითად შეფასდა პროგრამების განახლების მიზნით გაწეული სამუშაოები.

- ✓ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეფასება. შეფასების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში , სამიზნე ნიშნულების გადაცდომა, საგანმანათლებლო კომიტეტების გადაწყვეტილებით ცვლილებების განხორციელებისთვის მნიშნელოვანია პროცესებზე დინამიკაში დაკვრვება და გამოვლენილი ნიშნულთა დარღვევის შემთხვევაში განხორციელდება მიზეზების დადგენა და შესაბამისი რეაგირებები.
- ✓ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული ყველა მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამის დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასება. მიღებული შეფასებების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების ასახვა პროგრამებში დაგეგმილია 2022/23 აკადემიურ წლებში.

ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია

ქუთაისის უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ ახალი პროგრამების შემუშავებას და აკრედიტაციის პროცესებზე, უნივერსიტეტი გეგმავს უახლოს პერიოდში შემდეგი პროგრამების დამატებას:

- ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ინფორმატიკის ქართულ ენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა;
- დაწყებითი საფეხურის მასწვლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა.

პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა

- ✓ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შენარჩუნებისა და შეთავაზებების რაოდენობრივი ზრდის მიმართულებით, გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიცხვი. საანგრიშო პერიოდში მობილობით გაემგზავრა 1 სტუდენტი. სტუდენტებმა აკადემიური მობილობით ისარგებლეს ვიტაუტას მაგნუსის (ლიეტუვა) უნივერსიტეტში.

- ✓ უნივერსიტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი არაერთ საერთაშორისო ღონისძიებაში იყვნენ ჩართული,კერძოდ:
    - ივანო-ფრანკოვსკის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის (უკრაინა) პროფესორების ონლაინ ლექციათა სერია.
    - დიდი ბრიტანეთის ყველაზე მსხვილი უნივერსიტეტის, ღია უნივერსიტეტის 2 უფასო სასერტიფიკატო კურსი: ბავშვთა უფლებები (Children’s Rights) და

ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართალში (The Use of Force in International Law).

- ევროპის უნივერსიტეტისა და გაიოსმანფაშას უნივერსიტეტის (თურქეთი) ონალინ ვებინირი (მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის)
- საერთაშორისო ექსტრაკურიკულარული ღონისძიება თემაზე ''ფინანსური განათლება'', რომელსაც აშშ-ის მშვიდობის კორპუსის ყოფილი მოხალისე უძღვებოდა.
- "გრიგორ თ. პოპა" მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორების ონლაინ ლექციათა სერია ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) უფასო ონლაინ კურსები. სტუდენტებმა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს კურსი მიიღეს სერტიფიკატები.
- ონლაინ სასწავლო მოდულებში, რომელიც მომზადდა ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი - "Third Way Project" ფარგლებში.
- ქუთაისის უნივერსიტეტის, ბორდოს უნივერსიტეტის და იზმირის საუნივერსიტეტო კლინიკების ერთობლივ საერთაშორისო ვორქშოპი/ვებინარი.
- მალაგას უნივერსიტეტის პროფესორის, ხოსე კანტარერო პრადოსის ლექციას "გეოინფორმაციული სისტემის გამოყენება".

✓ საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავების მიზნით ევროპის უნივერსიტეტმა მემორანდუმი 9 ევროპულ უნივერსიტეტთან გააფორმა:

- ბალტიის საერთაშორისო აკადემია, ლატვია;
- ვარნას თავისუფალი უნივერსიტეტი, ბულგარეთი.
- კალისიის უნივერსიტეტი (პოლონეთი);
- პერსონალის მენეჯმენტის უნივერსიტეტი (პოლონეთი),
- ბიდგოშჩის უნივერსიტეტი პოლონეთი;
- გრიგორ თ. პოპა" მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- პანონიის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ალანიის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ლატვიის სიცოცხლის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ლატვია)

✓ 2022 წელს სრულად დაფინანსებული მობილობის პროგრამით ისარგებლა ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა. ის იმყოფებოდა ლიეტუვაში, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში. აღნიშნული გახლავთ ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის მობილობის პირველი შემთხვევა)

✓ ქუთაისის უნივერსიტეტი შეუერთდა ერაზმუს+ ინსტიტუციონალური განვითარების გრანტის ორ კონსორციუმს. შეტანილია შემდეგი განცხადებები:

- ERASMUS-EDU-2022-CBHE; UNIVERSAL - Strengthening Human Rights Principles in Georgia Through Teaching and Awareness Building
- ERASMUS-EDU-2022-CBHE;

✓ ქუთაისის უნივერსიტეტი გახდა პირველი უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში, რომელმაც გაიამარჯვა ჟან მონეს მოდულში: ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH; EUDigitFuture.

სტრატეგიული მიმართულება 3.

სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება.

სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა

✓ უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებების კვლევა. 2021-2022 აკადემიური წლის პირველ კვარტალში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გადაეგზავნა საჭიროებების კვლევის კითხვარი ორ ეტაპად. სულ გადაეგზავნათ 365 აკადემიურ პერსონალს, საიდანაც კველვაში მონაწილეობა მიიღო 25%.

- ✓ კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში მოდიფიცირდა ტრენინგ-მოდული სახელწოდებით „შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლეს განათლებაში“. აღნიშნული მოდული განხლდა მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ჯამში გადამზადებულთა რიცხვი შეადგენს 124 პერსონალს. ხოლო ტრენინგების რაოდენობამ შეადგინა 18.
- ✓ უნივერსიტეტის ტრენინგ-ცენტრისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია". სადაც მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უნივერსიტეტის და სხვა ადგილობრივი/უცხოური უნივერსიტეტების აკადემიურმა პერსონალმა (60 მონაწილე). გამოცემულია გამოსული მომხსენებლების აბსტრაქტების ბროშურა. http://iceti.eu.edu.ge/ ჯამში სულ 38 აბსტრაქტი შემოვიდა საიდანაც შეირჩა 27 აბსტრაქტი.

პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების დაფუძნება და არსებულის განვითარება

- ✓ უნივერსიტეტის არსებული ლაბორატორიები განახლდა შესაბამისი მასალებით, ხელსაწყოებითა და მატერიალური რესურსებით.
- ✓ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა აიტი ტექნოლოგიური ლაბორატორიის მოწყობა.



- ✓ სამედიცინო კლინიკური ბაზების რაოდენობის გაზრდის მიზნით მოლაპარაკება განხორციელდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან მათ შორის:
    - "უნიქალმედი"
    - სსს ევექს კლინიკები "წმინდა ნიკოლოზის სახელობის სამედიცინო ცენტრი";
    - შპს ზურაბ უგრეხელიძის სახელობის სამედიცინო ცენტრი;
    - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია.
    - მედიცინის ფაკულტეტის მიერ მოცულია ყველა პრაქტიკის ობიექტი ქუთაისში და იმერეთის რეგიონში.

- ✓ გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან:
    - 2022 წელს გაფორმდა 23 მემორანდუმი, რომელთაგან 18 სკოლაა, სამი აუდიტორული კომოპანია, ააიპ კონსტრუქტორი, და სადაზღვევო კომპანია.მოხდა 5 ახალი მემორანდუმის გაფორმება. 1. შპს აუდიტორთა კომპანია; 2. აიპ კონსტრუქტ2; 3.სადაზღვეო კომპანია ჯიპიაი; 4. შპს სითი სტარი; 5.შპს კრეატიული აკადემია; 6.ელსა; 7.რიქდოგიფილიალი, 8.საქართველოს ნოტარიუსტა პალატა, 9.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია; 10. სადაზღვევო კომპანია იმედიელი.

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა

- ✓ პლაგიატის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ორივე ფაკულტეტზე ფართოდ გამოიყენება, 2022 წელს მოხდა პლაგიატის იუზერების შექმნა ახალი აკადემიური პერსონლაისთვის. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ასახულია აკადემიური კეთილსინდისიერების

დაცვის საკითხი, ხოლო სასწავლო კურსებში, სადაც შეფასების კრიტერიუმად მითითებულია: ესე, კვლევითი ნაშრომი და ა შ. ექვემდებარება უნივერსიტეტის ანტიპლაგიატი პროგრამაზე www.strikeplagiarism.com -ზე შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს პლაგიატის ამომცნობი პროგრამის სწავლების პროცესში აქტიურ გამოყენებას.

- ✓ "აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეულის" ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა ონლაინ ქვიზები და პოსტერების კონკურსები.
- ✓ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტუდენტებისთვის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ჩაატარა შეხვედრა სტუდენტებთან ნაშრომების წერესთან დაკავშირებით თემაზე: how to write academic paper", რასაც 18 სტუდენტი ესწრებოდა.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

- ✓ უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდგომ. 2020-2021 აკადემიურ წელს პერსონალი შეფასებულია სრულად, უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის 76%-მა, ვინც წარმოადგინა სამეცნიერო აქტივობის შეფასების ანგარიში, შეასრულა მათთვის დადგენილი მოთხოვნები.
- ✓ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილი მექანიზმების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდებოდა მოწვეული და აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო მუშაობის შეფასება. ოთხივე კვარტლის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ ვინც ექვემდებარება შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით სრულად შეფასდა.
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, განხორციელდა საგამოცდო პროცესების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება. გამოკითხვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების 84% კმაყოფილი იყო საგამოცდო პროცესებით.
- ✓ სტუდენტების და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით, ხარისხის შიდა მექანიზმების შესაბამისად, ჩატარდა გამოკითხვა ზოგადი კმაყოფილების შესახებ, რომლის შედეგებითაც, გამოკითხული სტუდენტების 68% და პერსონალის 89.8% კმაყოფილებას გამოთქვამდა უნივერსიტეტთან ზოგად თანამშრომლობასთან დაკავშირებით.
- ✓ სასწავლო წლის ბოლოს ასევე განხორციელდა პრაქტიკის კომპონენტის შეფასება. შეფასებაზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხული სტუდენტების 75% დადებითად აფასებდა პრაქტიკის კომპონენტს.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა

- ✓ ჩატარდა 4 სხვადასხვა თემატიკის შეხვედრა, რომელიც მოიცავდა რეზიუმის, სამოტივაციო წერილის შედგენის ტექნიკებს, გასაუბრებისთვის მოსამზადებელი პროცესების და ასევე Linkedin-ის გამოყენების მნიშვნელობას კარიერული დაგეგმვის პროცესში,
- ✓ წლის განმავლობაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია დაახლოებით 110 პროფილური და ექსკლუზიური ვაკანსიის შესახებ დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით, ასევე ინფორმაცია 3 დასაქმების ფორუმის შესახებ.
- ✓ 2022 წელს 27 სტუდენტს გაეწია კონსულტაცია მათი კარიერული განვითარებისთვის.

- ✓ უნივერსიტეტში შეიქმნა სტუდენტების მხარდაჭერის ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი და საერთო ჯამში გაეწია კონსულტაცია 4 სტუდენტს. ცენტრი აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით და ინვენტარით.



სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა

- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა სტუდენტებს, სადაც განიხილეს სტუდენტების მოთხოვნები სტუდენტებმა გაუწიეს იდენტიფიცირება რამოდენიმე მათთვის პრობლემურ საკითხებსს, როგორებიც იყო : ლექციებზე სხვადასხვა კურსების დამთხვევები; საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღავენელებთან შეხვედრების საჭიროება, სტუდენთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებთან მიმართებით და სხვადასხვა მათთვის საინტერესო კლუბების ჩამოყალიბების აუცილებლობა, შეხვედრის შემდეგ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ შეიქმნა განხორციელებული სტუდენტებთან შეხვედრების

შემაჯამებელი ანგარიში, მოხდა დროული რეაგირებები სტუდენტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც თანმიმდევრულად შესრულდა 2022 წელს (აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 30 მდე სტუდენტი).

- ✓ 2022 წელს სტუდენტთა კვლევის შედეგად გამოკვეთილი მოთხოვნების შესაბამისად, ჩატარდა საჯარო ლექციები და ტრენინგები სხვადასხვა საკითხებზე, როგორიც იყო მოტივაცია, ფატიკური კომუნიკაცია და ფინანსური კომუნიკაცია. (სულ სამი საჯარო ლექცია) ასევე, მოეწყო ვებინარი კინოხელოვნებასთან დაკავშირებით. კერძოდ 2022 წლის 25 თებერვალს უნივერსიტეტს ეწვია სორბონის უნივერსიტეტის მკვლევარი გაბრიელ რობინუ. გამოკითხვის მიზნით შეხვდა სტუდენტებს. საკვლევი თემა - "2008 წლის კონფლიქტის შედეგები და საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული მდგომარეობის აღქმა, რუსეთთან და ევროკავშირთან მეზობლობის პირობებში“. აღნიშნული კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, სტუდენტების ინტერესების მიხედვით 24 თებერვალს ცენტრის ორგანიზებით დაიგეგმა და ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „რუსული ოკუპაციის და ანექსიის ისტორია საქართველოში“. რომელიც წაიკითხა ისტორიის დოქტორმა ლაშა დეისაძემ. ღონისძიებებს ესწრებოდა 50 მდე სტუდენტი.

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და სტუდენტური გუნდების გავითარება.

- ✓ საანგარიშო პერიოდში მოეწყო ორი შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი: ფუტზალის და ფრენბურთის მიმართულებით. ორივე ჩემპიონატში გამარჯვეულ გუნდებს გადაეცათ შესაბამისი თასი და დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები. ჩამოყალიბებულია ქუთაისის უნივერსიტეტთან არსებული ქართული ცეკვების ანსამბლი, რომლის ორი მოცეკვავე იმყოფებოდა იტალიასა და პორტუგალიაში გამართულ ფესტივალებზე, უნივერსიტეტის სახელით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მხიარულთა და საზრიანთა გუნდი, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებებზე გამოდის. ივლისში მიმდინარეობდა სექტემბრიდან განახლდა ინტელექტუალური თამაშს რა? სად? როდის? თამაშები, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა გუნდი/ები სხვადასხვა შემადგენლობით (როგორც სტუდენტების, ისე ადმინისტრაციული პერსონალის)

სტრატეგიული მიმართულება 4.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.

უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და პერიოდული გადახედვა.

- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სრულად განახლდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პოტენციალის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში ასევე განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების დეკლარირებული ანალიზი და სამომავლო კვლევითი თემატიკა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა განსაზღვრა სამიზნე ნიშნულის შესაბამისად.

კვლევითი ინსტიტუტების დაფუძნება/განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

- ✓ ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ სამიზნე ნიშნულით გათვალისწინებული 1 ბაზისასა გაწევრიანდა 6 ბაზაში, კერძოდ: 1.Scientific Indexing Services-SIS 2.WorldCat 3.Open Academic Journals Index (OAJI) 4.EconBiz; 5.Dimensions ; 6.CiteFactor 2022 წელს ასევე გამოიცა ჟურნალის 22 და 23 ნომერი.



- ✓ 2022 წელს დაინიშნა ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რომელიც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრთან, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან კოორდინაცით ახორციელებს მუშაობას კვლევითი პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. უნივერსიტეტმა მოახერხა ჟან მონეს პროექტში გამარჯვება, რაც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის პოზიტიური სიგნალია რათა მათი ჩართულობა გაიზარდოს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
- ✓ 2022 წელს ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის მიერ არ წარდგენილა პროექტი ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებში დასაფინანსებლად, თუმცა ინსტიტუტის

მიერ მომზადდა რამოდენიმე საპროექტო განაცხადი და ფონდების მიერ განცხადების მიღების გამოცხადებისთანავე მოხდება საპროექტო განაცხადის წარდგენა 2023 წელს.

- ✓ საანგარიშო პერიოდში 2022 წელს კვლევითი ინსტიტუტის მიერ არ მომზადებულა და არ წარდგენილია პროექტი საერთაშორისო პარტნიორებთან კოლაბორაციით.
- ✓ 2022 წლის ოქტომბერში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია, რომლის თანაორგანიზატორიც ქუთაისის უნივერსიტეტი გახლდათ. აღნიშნულ კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი.
- ✓ 2022 წლის 29 სექტემბერს ქუთაისის უნივერსიტეტში დაფუძნდა მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი, რომლის მიზანია საფაკულტეტო დონეზე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კვლევითი საქმიანობის განხორციელება, განისაზღვრა კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციები, ინსტიტუტის ხელმძღვანელის სამეცნიერო პერსონალისა და სხვა თანამშრომლების საშტატო ადგილები.

კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირების ხელშეწყობა

- ✓ საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტის საბჭოზე გამოცხადდა შიდა სამეცნიერო კვლევითი გრანტის კონკურსის შესახებ, სადაც კვლევის მიმართულება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:" საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები, უსაფრთხოების მაღალი რისკის პირობებში") აკადემიური პერსონალის მიერ შემოვიდა 2 განაცხადი, (1„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და პერსპექტივები პანდექსიტისა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგების პრიზმაში“ 2 სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტების ეკონომიკური შედეგების შეფასება სინთეტიკური კონტროლის მეთოდით საქართველოს მაგალითზე). საიდანაც ფაკულტეტის დეკანის მიერ წარდგილებით შემფასებელმა კომისიამ გამოავლინა ერთი გამარჯვებული, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.
- ✓ 2022 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა ჩაატარა 2 სამუშაო საინფორმაციო ონლაინ შეხვედრა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემაზე 1."როგორ შევარჩიოთ სამეცნიერო ჟურნალი", სადაც განხილული იყო სამეცნიერო ჟურნალების შერჩევის მეთოდები, ე.წ. "predatory journals"-ების ამოცნობის ინსტრუმენტები და მეთოდები და 2.Support to Georgia's Researcher's Mobility. ასევე წლის მანძილზე ხორციელდებოდა კვლევითი მიმართულებით სხვადასხვა სახის კონსულტაციები. როგორც ონლაინ ასევე სატელეფონო სულ (10 მდე კონსულტაცია).

- ✓ 2021 წლის განმავლობაში ელ. ფოსტის მეშვეობით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და მეცნიერ-თანამშრომლებთან ჯამში სულ გაზიარდა 59 ინფორმაცია.
- ✓ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 4 მასტერკლასი:
    - "ინფორმაციის მართვა სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობის დროს “;
    - "საგრანტო განაცხადის მომზადება და ფონდების მოძიება";
    - „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ“;

- „კოლაბორაციული კვლევა".

კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება, ხელშეწყობა და შედეგების გაზიარება

- ✓ საანგარიშო პერიოდში გაიმართა სტუდენტთა მეთვრამეტე სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც შერეული ფორმატით ჩატარდა, როგორც კონტაქტურად, ისე დისტანციურად. მასში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის და მედიცინის ფაკულტეტები მონაწილეობდნენ. კონფერენციაში აქტიურად იყვნენ ჩართული ქუთაისის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამების სტუდენტები. სოციალური მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სექციაში წარმოდგენილი იქნა 11 მოხსენება, მედიცინის სექციაში კი 10. წელს მედიცინის ფაკულტეტი სამეცნიერო კონფერენციაში პირველად ჩაერთო. სექციური მუშაობა ქართულ და ინგლისურ ენებზე წარიმართა. სტუდენტების საკონფერენციო კვლევები და პრეზენტაციები მედიცინის დარგისთვის აქტუალურ თემებს ეხებოდა: "ჭარბწონიანობა", "დაუნის სინდრომი" "გულის უკმარისობა" და სხ. ნაშრომები დაიბეჭდა შრომათა კრებულში. ასევე, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა ორი "ვორქშოპი". კონფერენციის დასასრულს კომპეტენტური კომისიის მიერ შეირჩა საუკეთესო ნაშრომები, რომლებიც ქუთაისის უნივერსიტეტის ჟურნალ "ეკონომიკურ პროფილში" გამოქვეყნდება. ასევე, მონაწილე სტუდენტების თეზისებისგან, მომზადდა ბეჭდური და ელექტრონული ბროშურა.

სტრატეგიული მიმართულება 5.

უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა.

ორგანიზაციის მართვა

- ✓ უნივერსიტეტში ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი და შემდგომი ნაბიჯების დადგეგმვის მიზნით განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამშრომლების კმაყოფილების კვლევა. კვლევაში პერსონალის 55%-მა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 87.6% კმაყოფილია უნივერსიტეტში დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურით. უნივერსიტეტის ვაკანტურ პოზიციებზე გაზრდილი იყო მომართვიანობის მაჩვენებელი, თუმცა ამასთანავე 2022 წლის პერსონალის გადინების წლიური მაჩვენებელი წარმოაგენდა 21%-ს.
- ✓ ორგანიზაციული კულტურის განვითარების მიზნით ხდებოდა პროფესიული დღეების აღნიშვნა და თანამშრომელთა პერიოდული წახალისება.

- ✓ განახლდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, შინაგანაწესის, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის შერჩევის წესის დოკუმენტები.

ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა

- ✓ წლიური სამიზნე ნიშნული, რომელიც გულისხმობდა საერთაშორისო გამოცდილების მქონე 2 პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, არ არის დაკმაყოფილებული.

ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

- ✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება კვლევაში მონაწილეობა მიიღო 26-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა, რაც უნივერსიტეტში დასაქმებულთა 55% შეადგენს,
- ✓ შეფასების შედეგად მოთხოვნილი ტრენინგები ჩატარებულია, კერძოდ:
    - მოლაპარაკების ხელოვნება და ურთიერთობების მართვა;
    - კომპანიის ეთიკური და იურიდიული საკითხების გაცნობა;
    - e-Flow -თი სარგებლობის წესი.

უნივერსიტეტის მატერიალური და საინფორმაციო - ტექნოლოგიური რესურსის განვითარება

- ✓ 2022 წესლ დასრულდა სასამართლოს დარბაზის მოწყობა